სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

ივნისი 2019

2019 წლის ივნისში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **137 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **232 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა მაისში **76 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივნისში **448 ლარი** შეადგინა. თბილისში, ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 618 ლარი შეადგინა, აჭარაში - 384 ლარი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 417 ლარი და კახეთში - 369 ლარი.



გრაფიკი 1: მოცემულია 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში.

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2019 წლის ივნისში, 2019 წლის მაისთან შედარებით, 1.5%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 3.6%-ით გაიზარდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 0.1%-ით შემცირდა.

2019 წლის ივნისში, 2018 წლის ივნისთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 2.9%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 7.3%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 9.9%-ით გაიზარდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2019 ივნ/ 2019 მაი	2019 ივნ/ 2018 ივნ	2019 ივნ/ 2019 მაი	2019 ივნ/ 2018 ივნ	2019 ივნ/ 2019 მაი	2019 ივნ/ 2018 ივნ
შიდა ქართლი	10.2%	6.4%			-1.7%	4.9%
სამცხე-ჯავახეთი	8.0%	1.9%	15.7%	-4.3%	2.9%	5.7%
რაჭა	7.9%	17.8%			-12.8%	24.7%
მცხეთა-მთიანეთი	4.2%	16.3%	3.5%	10.6%	4.8%	21.2%
თბილისი	4.1%	-5.4%	3.2%	-11.9%	7.3%	20.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3.7%	11.0%	10.3%	-6.7%	0.9%	17.4%
გურია	3.4%	-17.9%	5.6%	1.6%	0.2%	-28.7%
იმერეთი	2.7%	15.2%	9.6%	10.9%	-2.5%	18.5%
კახეთი	0.4%	6.3%	12.6%	2.9%	-0.1%	7.4%
ქვემო ქართლი	-5.9%	-3.6%	-5.1%	1.0%	-7.0%	-20.0%
აჭარა	-6.7%	-8.3%	-0.8%	-6.7%	-17.2%	-11.2%
სულ ფასების % ცვლილება	1.5%	-2.9%	3.6%	-7.3%	-0.1%	9.9%

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2019 წლის ივნისში, 2019 წლის მაისის ფასებთან შედარებით და 2018 წლის ივნისის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოთანგარიშებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.